# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 59 სამშაბათი, 16 მარტი 1910 წ. № 59

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ამ ხანს შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვით განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება ინახება ერთი თვით შემდეგ ... რედაქტორი ... დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ქუჩა N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЕБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


ბარბარე, ნინო, მიხეილ, ალექსანდრე, ვახტანგ და არჩილ დავითის ასულნი და ძენი ქართველიშვილები, ვერა დავითის ასული და ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მიქაბერიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას: პირველი შვილი—საყვარელ და დაუვიწყარ დედის, ხოლო უკანასკნელი —სიდედრის

ელისაბედ იოსების ასულის ქართველიშვილისას.

პანაშვიდი სამშაბათს, სალამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე, ვერაზე—მატინოვის ქუჩა. № 7. გამოსვენება ოთხშაბათს, 17 მარტს, დილის 9½ ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—181—1)

კონსტანტინე, ივანე, დავით და გიორგი იოსების ძენი, ევა იოსების ასული კნ. ამირაჯიბისა, მაკრინე იოსების ასული პაიჭაძისა, ნინო გიორგის ასული ყავრიშვილი, ანა ანტონის ასული ყავრიშვილისა, თამარ ვლადიმერის ასული ყავრიშვილისა და იოსებ ივანეს ძე პაიჭაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას: პირველი შვილი—საყვარელ დის, მეორე სამი—მულის, ხოლო უკანასკნელი —ცოლის დის

ელისაბედ იოსების ასულის ქართველიშვილისას.

პანაშვიდი სამშაბათს სალამოს 7 საათზე. გამოსვენება ოთხშაბათს, 17 მარტს, დილის 9½ საათზე, ბინიდან-მატინოვის ქუჩა, № 7. ქვაშვეთის ეკკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე კუკიაში. (1—182—1)

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 16 მარტს,

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალო-სკოლის

სასარგებლოდ

თავად-აზნაურთა თეატრში მოხდება

## გასამართლება

დრამის „სამშობლო" გმირების: ქეთევანის და ლევან ხიმშიაშვილისა.

გასამართლებაში მონაწილეობას იღებენ: თამარ გოგოლაშვილი, თამარ ჯიჯავაძე, დ. განდეგილი, მარიამ ვახვახიშვილი-წერეთლისა, სოფიო რომანიშვილი, ანნა ჯაფარიძე, ნინო ნაკაშიძე, ალექსანდრე მდივანი, ილია ზურაბიშვილი, იოსებ მაჭავარიანი, შალვა მესხიშვილი, კონსტ. მაყაშვილი, გიორგი ანანიაშვილი, გიორგი ლასხიშვილი, იოსებ ბარათაშვილი, შალვა მიქელაძე, ნ. ლორთქიფანიძე, მაჩაბლიშვილი, პ. სურგულაძე, ფალავა, შანშიაშვილი, ს. მაჭავარიანი, ალ. ციციშვილი და სხვანი.

გასამართლების შემდეგ ქ-ნ გოგოლაშვილის, ბ-ნთ ვ. გუნიას, მათირიშვილისა და იმედამვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

„პირველი და უკანასკნელი კოცნა"

ვოდევილი 1 მოქმ.

დასაწყისი სალამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში და ქართ. ქალთა სამკერ. სკოლის სადგომში, (გაბაევის ქ., № 3). (3—2)

## ქართული თეატრი

ორშაბათს, 29 მარტს, მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება:

## ხათაბალა

კომედია 4 მოქმ. გ. სუნდუკიანცისა.

ნატალიას როლს შეასრულებს მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, ხამფერასას—ნ. გაბუნია-ცაგარლისა, კარაპეტასას—კ. დ. ყიფიანი, ისაიასას—ვასო აბაშიძე.

რეჟისორი ვ. აბაშიძე.

(4—1)

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი

## მ. ა. გაყონია

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:

(20—12) ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.

## გამგეობა „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა"

ამით აცხადებს, რომ წელს ამხანაგობას აქვს შეძენილი საგანგებოთ დაკვეთილი და წარსულ წლებში გამოცდილ აბრეშუმის ჭიის თესლი ძმ. პასხალიდის ფირმისა.

მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ თესლი შემდეგ ადგილებში:

1. ს. კუხში—ამხანაგობის სამმართველოს ფარდულში; 2. ბათუმში—თვით მეთესლეს წარმომადგენელ მანუილიადისთან და მათე რუხაძესთან; 3. ქუთაისში—კანტორა „იმერეთში" და კიწმარიშვილის თესლეულობის მაღაზიაში; 4. ახალ-სენაკში—ვარლამ ჩაჩიბაიასთან; 5. სამტრედიაში—პორფილე ქეიშვილთან და აგრეთვე ქუთაისის მაზრის ყველა დაბებში და ლეჩხუმში. (6—კვ.—3)

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—29)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე ... ას. 1—2 ს.

... დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექტ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., ...

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ ს. თვალის, ორშ., ... და პარასკ. 2 2-ნახ. ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე ...

პაპოვი ვ. ა. ქურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

ხოხოლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—132)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—295)

## საპოლონიო ამხანაგობა

შეკერილ ტანისამოსის განყოფილება

## „ობოროტი"

(ამიერ-კავკ. რკინის გზების მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების საქონლის ჩამბარებელი)

ამით აუწყებს მომხმარებელ საზოგადოების წევრთ და კერძო მუშტარს, რომ 11 მარტიდან გაიხსნა ყოველნაირი ტანისამოსი მამაკაცთა პორტიკულიარული, ფორმისა და მოწაფეთათვის, ქალთა ტანისამოსი, პარიზის უკანასკნელ მოდაზე დამზადებული. ფასები შეუვაჭრებლად, კონკურენციის გარეშე.

მაღაზია მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე, № 16, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (5—გაჲ.—5)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მაღლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ნოვიცკი—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

ასპიროვი—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—ნ.—22)

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. სადამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

## ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სადამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., სადამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., სადამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—82)

## ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. სადამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—389)

## ექიმი ქუთაისში ფ. ი. ვასნეცკი

იღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებათა და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, სად., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—7)

## ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და სად. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) სადამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—26)

## ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. სადამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—140)

## კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. სადამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—123)

## ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

## ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში გ. დ. ბეთანოვი

მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და სადამოს 5—8 ს. (25—ფ.—14)

## ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს სადამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—39

## ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. სადამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—50)

ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით

## ილია ბახტაძე

წაიკითხავს საჯარო ლექციებს ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სამტრედიაში, ნაოლელევში, ჭიათურაში შემდეგ თემებზე: „ბატონყმობა და დანიელ ჭონქაძე", „ჩვენი ახალგაზრდა პოეტები, ვარლამ რუხაძე და მისი პოეზია."

ლექციების წაკითხვის დრო ყოველ ქალაქში და დაბაში საზოგადოებას ეცნობება აფიშებით. (5—კვ.—2)

## შპალერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

## ძმ. ტარნოპოლევისა.

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—1)

ყვირილის სამარხი კასის

## გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მორიგი ჩვეულებრივი საზოგადო კრება კასისა დანიშნულია ამა წლის 28 მარტისთვის დ. ყვირილაში ადგილობრივ კლუბის დარბაზში, დილის 10 საათზე. (3—ნ.—1)

მარცვლის რედაქციის

## განცხადება

გაზეთ „მარცვლის" რედაქცია აუწყებს მკითხველებს და ხელის მომწერთ, რომ გაზეთი „მარცვალი" სხვა და სხვა მიზეზის გამო შეჩერდა. ხელის-მომწერთ თავიანთი ფული მხოლოდ მოთხოვნილებისამებრ დაუბრუნდებათ, რადგან რედაქციის მდივნის დატუსაღების შემდეგ ზოგიერთი საჭირო ქაღალდი დაიკარგა და რედაქციამ ველარ გამოარკვია, ვის რამდენი ფული აქვს შემოტანილი. დაიკარგა აგრეთვე ხელის მომწერთა სია. ვსთხოვთ ხელის მომწერლებს, ფულის მოთხოვნის დროს კვიტანცია წარმოადგინონ.

ადრესი: Баку. Докторскій переулокъ, домъ № 5, А. П. Надирадзе. „მარცვლის" რედაქცია.

## საყურადღებო წიგნი

ამა წლის დასაწყისში რუსულ ენაზე დაიბეჭდა მეტად შინაარსიანი და მოსწრებული წიგნი: „Формы національнаго движенія въ современныхъ государствахъ. Австро-Венгрія, Россія, Германія, подъ редакціей А. И. Кастелянскаго. კრებულში მოთავსებულია ევროპისა და რუსეთის ცნობილ მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეებისა: რ. შპრინგერისა (ავტორი მშვენიერ წიგნისა: Der Kampf der österrecchischen Nationen um den Jtaat, 1902.), პროფ. კ. გორაჩეკისა, ლ. კრჟივიცკისა, ა. იგოლსტრომისა, მ. სლავინსკისა, მ. გრუშევსკისა და სხვათა. ერთი წერილი ეკუთვნის ჩვენ თანამემამულეს პრივატ-დოცენტს ზ. ავალიშვილს. ამ წერილში ავტორი განმარტავს ნაციონალურ საკითხის მდგომარეობას ჩვენში და აგრეთვე სცდილობს დაახასიათოს ეროვნული მოძრაობა ჩვენში ამ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში. რადგან კრებულში მონაწილეობა მიიღეს სხვა და სხვა მიმართულების და საზოგადოებრივ რწმენის წარმომადგენელთ, ამიტომ ეთ, ყველა მონაწილისთვის სავალდებულო, დედა აზრს კრებულში ვერ იპოვნის მკითხველი, სამაგიეროდ წიგნის წაკითხვის შემდეგ ნათლად წარმოიდგენს იგი ეროვნულ მოძრაობის დღევანდელ მდგომარეობას; თამამად გაითვალისწინებს აგრეთვე იმ ძალებს და საზოგადო პირობებს, რომელნიც ამოძრავებენ ცალკე ეროვნების აზრსა და მისწრაფებას.

მე არ შეუდგები წიგნის შინაარსის განხილვას, ვინაიდან ამას ბევრი დრო და ადგილი დასჭირდება. მე მგონია, ჩვენ ქართველებმა განსაკუთრებულის გულისყურით უნდა გავიცნოთ ეს წიგნი და იქ დახატულ ეროვნულ მოძრაობის სურათების გათვალისწინების შემდეგ, შევიძინოთ ის, რაც სასარგებლო და საკეთილოა. სხვა და სხვა დიდ და პატარა ერის ცხოვრებამ უნდა გვასწავლოს, რანაირად ავცდეთ შეცდომებს და ყალბ საშუალებებს ჩვენი ეროვნულ სახის და ღტოლვილების დაცვაში. ყველა დამეთანხმება, რომ გამოცდილ ერების გაკვეთილები მეტად საჭიროა ჩვენთვის. მართალია, შესაფერი ლიტერატურა ძლიერ რთულია (ამ ორი წლის წინად გამოვიდა დიდი წიგნი, რუსული თარგმანი: ბაუერ — „Національный вопросъ", იხ. ვლად. სოლოვიოვის წიგნები), მაგრამ აღნიშნულ კრებულის ღირსება იმაშია, რომ ავტორები სცდილობენ დაასურათონ დღევანდელი მოძრაობა ეროვნულ ნიადაგზე და მცირეოდენად ეხებიან საზოგადო მოსაზრებას ეროვნულ საკითხის შესახებ.

მე-19 საუკუნეში, — განმარტავენ დღეს:—დაიბადა ეროვნება, ნაცია და მართლაც, თუ ჩაუკვირდებით მე-19 საუკუნის ისტორიას, უნდა დავეთანხმოთ ამ აზრს. მთელი საუკუნის განმავლობაში თანდა-თან იზრდებოდა ეროვნული აზრი და სახეს იძენდა ეროვნება, როგორც მთელი, განუყოფელი რამ. ისტორიული პირობები, როგორც, მაგალითად: ნაპოლეონის ომები, მე-19 საუკუნის დასაწყისის რეაქცია და ლეგიტიმიზმის დაცვა, 1830 წ. და 1848 წლ. საფრანგეთის რევოლიუციები და ბევრი კიდევ სხვა, ხელს უწყობდნენ ნაციონალურ განცალკევებას და მასთან ეროვნულ შეგნების გაძლიერებას. მეცნიერების განვითარებამ, უფლების მსვლელობამ, საზოგადოდ გონებრივ განვითარებამ მე-19 საუკუნის დასასრულში დიდი გავლენა იქონია ნაციონალურ აზრის თვისებაზე, ე. ი. განისაზღვრა ნაციონალური შეგნება და ნაციონალური არსებობის დაცვა შოვინიზმისაგან. დღეს მხოლოდ სულიერად და გონებრივად დაბრმავებულნი და დალატაკებულნი ვერ არჩევენ ამ ორ საკითხს ერთმანეთისაგან.

ჩვენ მოწამენი ვართ მცნებისა, რომელიც ფეხს იდგამს მოწინავე საზოგადოებაში და პოლიტიკურ აზროვნებაში, მცნებისა, რომ ეროვნული შეგნება ბუნებრივი მოვლენაა, რომელსაც დიდი ამაღორძინებელი და სულის ჩამდგმელი ძალა აქვს, მაშასადამე, ასეთი ძალა კი არ უნდა ჩაინთქას მძლავრი და ღონიერ პირისაგან, არამედ უნდა განვითარდეს და აყვავდეს. საუბედუროდ ჩვენდა, პოლიტიკური ცხოვრება სულ სხვა სურათს გვიხატავს. მძლავრი ერი სცდილობს ჩაყლაპოს და განაქორწყლოს პატარა ერები და იმ ნაირად დაიმორჩილოს ისინი

ეკონომიურად და პოლიტიკურად, რომ პატარა ერმა დაჰკარგოს თავისი პიროვნება, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეწინააღმდეგებით ასეთ პოლიტიკას ჩაყლაპისას, ეროვნების განადგურებისას, ვინაიდან ეროვნულ თვით-არსებობის განადგურება ყოველთვის ეწინააღმდეგება პიროვნების თავისუფლებას, პიროვნების დამოუკიდებულებას, მაშასადამე, ეროვნების თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, რადგან ეროვნება იგივე პიროვნებაა, ოღონდ უფრო რთული და დიადი. ზემო დასახელებული კრებული მშვენივრად ასურათებს ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრებს.

თუ ვისმეს სადმე მწარე ფიქრებს მოგვრის თავის ერის ბედ-იღბალი, მისი თავისუფლება, დამოუკიდებლობა, მათ შორის ჩვენ ქართველებს პირველი ადგილი გვიჭირავს. არსად ეროვნება არ არის ისეთ განსაცდელში და ცუდ პირობებში, როგორც ჩვენშია, მაშასადამე, ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში დავიცავთ ჩვენ ვინაობას, თუ შევიარაღდებით განსაკუთრებულის ცნობებით, თუ განვანათლებთ ჩვენ ერს, თუ გავმაგრდებით ეკონომიურად. ამ შემთხვევაში ჩვენ ყველაზე დაბლა ვდგევართ. ერთად-ერთი ჩვენი შველა ჩვენ გონებრივ აღორძინებასა და განვითარებაშია. ა. ზ. ავალიშვილი შინაარსიან წერილში, სხვათა შორის, ამტკიცებს, რომ ნაციონალური შეგნება ჩვენში მხოლოდ საშუალო და უმაღლეს კლასებშიაო, რაც შეეხება ერის ქვედა სართულებს, იქ ამგვარ აზრს ადგილი ჯერ არ აქვსო. მაშასადამე, ეროვნული მოძრაობა ჩვენში არის, მხოლოდ წარმოშობილი ჩვენი ხალხის მოწინავე ნაწილების მისწრაფებით. მართალია, 1905—06 წლებში დიდი მოძრაობა იყო ჩვენში, მაგრამ თუ ღრმად ჩაუკვირდებით ამ მოძრაობას, დავინახავთ, რომ მოძრაობაში იყო გამოხატული მხოლოდ საზოგადო უკმაყოფილება არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ, სამაგიეროდ, ძლიერ ნაკლებად იყო გამოხატული ეროვნული ელფერი. ამითი აიხსნება სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებით გატაცება ჩვენში, როგორც ამტკიცებს ზ. ავალიშვილი, ე. ი. სოციალ-დემოკრატიამ მოიკიდა ფეხი ჩვენში იმიტომ, რომ ამ მოძღვრებაში მარტივად და დამთავრებულად იყო გამოთქმული მოთხოვნილებანი და მისწრაფებანი. თუ ჩვენ გვსურს ჩვენის თვითცნობიერების დაცვა და ეროვნულ სახის შენახვა, უეჭველად ქართველი ერი უნდა წარმოადგენდეს ერთ განუყოფელ მთელს; ქართველი ერი უნდა იქნეს განსჭვალული ერთის აზრით, ერთის ფიქრით.

რა არის ნაცია? სხვა და სხვაგვარად განმარტავენ ამ მცნებას, მაგრამ ყველანი თანახმანი არიან, რომ ნაცია შეიცავს „შინაგან ძალას“. წარსული ისტორია, ე. ი. საერთო მოგონებანი, საერთო დამცირება და საერთო ამაღლება; საერთო სიხარული და საერთო ტირილი წარსულში—ჯ. ს. მილლის აზრით ჰქმნიან ნაციას. რენანი კი ამბობს: დიდებული ზნეობრივი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ერის შემადგენელი ელემენტები მზად არიან თავი შესწირონ მთელს ერს, როგორც წინად სწირავდნენ —აი, ეროვნული შეგნება, აი ნაცია. მარტივად ამავე აზრს შპრინგერი გამოსთქვამს: „საზოგადო, საერთო ფიქრები და გრძნობანი წარმოადგენენ ნაციასაო“. მაშასადამე, თუ არ შევინახავთ ჩვენ მიწას, ტერრიტორიას, ჩვენ ლიტერატურას და ჩვენ ენას, ჩვენი წარსულის ნაშთებს, ჩვენ, როგორც მთელს, განუყოფელ ერს, არ შეგვეძლება თავის შენახვა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი შევიგნებთ ჩვენს წარსულსა და აწმყო ვინაობას. როგორც ჭეშმარიტად აღიარებს ზ. ავალიშვილი, ეროვნული შეგნება საქართველოში ზევით არის, ინტელლიგენციაში, ქვევით-კი, ხალხში, იგი ჯერ არ გასულა. მხოლოდ დაკავშირებულნი, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, საერთო აზრით შეერთებულნი დავიცავთ ჩვენს ეროვნულ ვინაობას. მანამდის კი უნდა დავეთანხმოთ ზ. ავალიშვილს, რომელიც აბოლავებს თავის წერილს ქართველების შორის ეროვნულ მოძრაობის შესახებ მეტად სამწუხარო დასკვნით: თუ საქართველოს ეროვნულ განვითარებას დაუპირდაპირებთ ევროპის ნაციონალიზმის მცნებას, უნდა ავიაროთ, რომ „ქართველებმა იციან მხოლოდ ანბანის პირველი ასოები“.

**ნიკ. ბჟალიანი.**

# ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მეტად საყურადღებო ამბავს გადმოგვცემს რუსული გაზეთი „ნოვაია რეჩი“. ეს ამბავი საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ სხვა და სხვა ვაჟბატონნი როგორ ატყუებენ და ატყავებენ ღარიბ და უვიც ხალხს საქმე შეეხება ბათუმის იმ მცხოვრებთ, ქართველ მაჰმადიანთ, რომელთაც ამ ოცდაათი წლის წინად ადგილები ჩამოართვეს სამხედრო უწყებისათვის.

4 მარტს 1880 წელს გამოსულა უმაღლესი ბრძანება ბათუმში ციხისთვის შენობების აგების შესახებ. ამ ბრძანების ძალით ბარცხანაში 14 დესეტინა და 1940 ოთხ.-კუთხი საჟენი ადგილი ჩამოართვეს 27 ოჯახს, ქართველ მაჰმადიანს, რაშიაც ამათ ან სანაცვლო მიწა უნდა მიეღოთ ან ფული. ამ ადგილებზე ყაზარმები ააშენეს. მას შემდეგ გავიდა 29 წელიწადი, მაგრამ მიწის პატრონნი ვერაფრით ვერ ეღირსნენ კუთვნილ ფულის მიღებას. რწმუნებლად ჰყოლიათ ვიღაც ლუკა პეტრეს-ძე გაბუნია, რომელსაც ვერა გაუწყვია-რა და ბოლოს გაბუნიას თავის მხრივ ამ საქმის წარმოება ჩაუბარებია სამსახურს გარეშე მყოფ შტაბ-კაპიტნის ივანე ზურაბის ძე მირზოევისთვის (ეს მირზოევი ძმა არის ეხლა კარგად ცნობილ, ხმოსნად ნამყოფ სერგეი ზურ. მირზოევისა). მირზოევი „საქმის კაცად“ არის ცნობილი, დიდი ნაცნობობა ჰყოლია სამხედრო უწყებაში და მთავრობის დაწესებულებებში და საქმეც ამიტომ ხელად დაუბოლოვებია. ჩამორთმეული მამული პირველად შეფასებული ყოფილა საჟენი 3 მანეთად, მირზოევს ფასი დაუკლია და 2 მ. 70 კაპიკად დათანხმებულა. 1906 წელს საინჟინერო სამმართველოს უფროსს განუხილავს ამ საქმის შესახებ მოხსენება და დაუდგენია, მისცემოდათ ადგილის პატრონებს ფული, საჟენი 2 მ. 70 კაპიკის ანგარიშზე. ამ შეფასებით მამულის ფასი გამოვიდა 93,501 მანეთი და სარგებელიც 138,677 მან. 83 კ. სულ 27 კომლ ქართველ მაჰმადიანისთვის გადაუწყვეტიათ 232,178 მან. 83 კაპ.

საინჟინერო სამმართველოს უფროსის დადგენილება პეტერბურგში დაუმტკიცებიათ 1909 წელს 5 თებერვალს, მაშასადამე, ამის შემდეგ პატრონებს შეეძლოთ ფულის მიღება, მაგრამ აქ საქმე სულ სხვანაირად დაუტრიალებია ბ-ნ მირზოევს. სცენაზე გამოსულა მირზოევის მახლობელი ნადეჟდა პროტოპოპოვისა და შესდგომია ქართველ მაჰმადიანთაგან ხსენებულ მიწებზე მესაკუთრეობის უფლების შეძენას. მიწის პატრონებმა არაფერი იცოდნენ, რომ მათ შეეძლოთ ფულის მიღება, რადგან ამისთვის თავი არავის აუტკივებია; ბევრს, შეიძლება, ეგონა კიდეც, რომ ფულს სულ ვერ მიიღებდა და თავისი უფლება გროშის ფასად მიუყიდნია პროტოპოპოვისთვის საქმეები ამ უფლების შესყიდვის შესახებ ნაწარმოებია ტფილისში ნატარიუს მღებროვთან, ამასთან 1909 წლის 5 თებერვლის შემდეგ, ესე იგი მას შემდეგ, როცა ფულის მიღების ნება უკვე გამოსული იყო. ამ რიგად, შეუძენიათ უფლებები ალიი კიკავასაგან, შაქირ და შემაი პახვაძეებისაგან, გენჯიჯ-ალა და დაირ-ალა ბაკურაძეებისაგან, ატე-ხანუმ და ფატმა ხანუმ ქელარჯიშვილებისაგან, ესეთი ხალვაშისაგან, ისმაილ და ხასან შერიფ ხალვაშებისაგან, მახმუდ ეფენდი-ოღლისაგან, ალია სარჯველაძისაგან, ხასან-ალა ჭყონიას მემკვიდრეთაგან, კარა-ალა ბაკურაძისაგან, მამედ სულეიმანისაგან და სხვათაგან.

სოცარია ეს გარემოება იმით, რომ მამულის პატრონნი თავიანთ უფლებას ჰყიდიან მაშინ, როცა უკვე შეეძლოთ ფულის მიღება. აშკარაა, ან წინადვე ყოფილა ეს საქმე მოხერხებული ან პატრონებისთვის არ უცნობებიათ, რომ ფულის მიღება შეუძლიანთ.

როცა ხმა ამ ოინების შესახებ ბათუმში ჩასულა, მამულის ზოგიერთ პატრონებს, როგორც, მაგალითად, სელიმ-უტვინ-ოღლის, ალი გერაძეს და სხვებს თხოვნა მიუციათ ნამესტნიკისთვის. თხოვნა საინჟინერო სამმართველოსთვის გადაუციათ, რომელსაც სამი თვის განმავლობაში მსვლელობა არ მიუცია ამ თხოვნისთვის. პირიქით, როცა თხოვნის შემტანნი სამმართველოში შედიოდნენ საქმის ვითარების გასაგებად, საქმის-მწარმოებელი ისევ იმავე მირზოევთან ჰგზავნიდა თურმე, და მხოლოდ სამი თვის შემდეგ საინჟინერო სამმართველოს უფროსს წაუწერა თხოვნაზე შემდეგი რეზოლიუცია: „ეს საქმე მეტად საყურადღებოა. შეიძლება მამულის პატრონებმა სრულიად უსაფუძვლოდ ბრალი საინჟინერო უწყებას დასდონ. უნდა მიღებულ იქნას ენერგიული ზომები, რომ პატრონებს ეცნობოთ საქმის ვითარება. ქაღალდი გაეგზავნოს გუბერნატორს“.

აი, ასეთია ეს საარაკო საქმე. ზემოხსენებული მომჩივნები სწერენ, რომ ზოგიერთებმა იმ საქმიდან შემოსავლის წყარო გაიჩინაო, ბევრმა გაჰყიდა უფლება და მოურიგდა მირზოევსაო: თითონ მირზოევს ფული, თუ სულ არა, ნაწილი მაინც, ხაზინიდან შარშანვე მიუღია, მაისში და ივნისში.

სრულიად სამართლიანად შენიშნავს „ნოვ. რეჩი“, რომ ეხლა „სცენაზე უნდა გამოვიდეს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ან პროკურორიო“.

ვნახოთ, რით გათავდება ეს საქმე.

# სახელმწიფო სათათბირო
(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**სავაჭრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.**

13 მარტის სხდომაზე სათათბირომ დაამთავრა სავაჭრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. მიიღეს სამთო დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვა საბიუჯდეტო კომისიის რედაქციით.

**ეგოროვმა** სიტყვა წარმოსთქვა სამთომადნო მუშების გაჭირვებაზე. ამ მუშებს ჯამაგირს ფულად არასოდეს არ აძლევენ; ურიგებენ კუპონებს, რომლის განაღდების დროს მუშები თითქმის 50%-ს ჰკარგავენო.

მიიღო სათათბირომ აგრეთვე სავაჭრო ნაოსნობისა და ნავთსადგურების ხარჯთ-აღრიცხვა, რომლისთვისაც გადადებული ყოფილა 11,723,861 მ. და რომელიც კომისიამ 969,919 მანეთით შეამცირა.

**მიწათ-მოქმედების სამმართველოს ხარჯთ აღრიცხვა**

პირველად სათათბირომ უკამათოდ მიიღო ამ სამმართველოს უფროსის კანცელარიის ხარჯთ-აღრიცხვა.

შემდეგ სათათბირომ მოისმინა სახელმწიფო მამულების დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვა. გადადებული ყოფილა 21,995,558 მან. კომისიამ შეამცირა 596,211 მანეთით.

**კროპოტოვმა.** (ს.-დემ.) აღნიშნა, რომ სამინისტრო გლეხთა მიწების მოწყობის დროს მხოლოდ შეძლებულ გლეხებზე ზრუნავს. მთავრობას უნდა, შექმნას სოფლად შეძლებულ გლეხთა წრე, რომელიც მას მხარს დაუჭერს.

**მიაგკიმ.** (დრუდ.) ყურადღება მიაქცია მიწების გამიჯვნას, მთავრობა მიჰყიდის მარტო გლეხების მიწებს. ხაზინის მიწებს ფასებს ისე უმატებს, რომ იჯარით აღება უფრო სარფააო. ამას გარდა მთავრობა სოფლად ამზადებს ელემენტებს, რომელნიც გლეხთა არეულობების წინააღმდეგ იმოქმედებენო.

**ბერეზოვსკი 1-ლი** (კად.) შეეხო გლეხთა მიწების მომწყობ კომისიის წევრებს, რომლებზედაც დიდ-ძალი ფული იხარჯებაო. გლეხთა მიწების მომწყობებიც სულ მთავრობის მიერ დანიშნული მოხელენი არიანო.

ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც.

# დეპეშები
(პეტერბ. დეპეშთა სააგენტოსაგან)

14—15 მარტი.

**მიწის-ძვრა**

**სალონიკი.** 9 მარტს, დილის 4 საათზე, მაკედონიის სხვადასხვა ადგილას მიწა-იძრა. ტიკვეშის ოლქში დაინგრა რამდენიმე სახლი, კონოპიშტში 770 სახლი. ვოდენის ქალაქებში თავზარ-დაცემულმა ხალხმა სახლები მიატოვა.

**ცეტინიე.** ტყუილია გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ჩერნოგორიის მთავარი ნიკოლოზი პეტერბურგს წავაო.

**ათინა.** მინისტრ-პრეზიდენტმა დრაგუმისმა დეპუტატთა პალატაში შეიტანა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯთ-აღრიცხვით შემოსავალი უდრის 142,166,000 მან., გასავალი 142,031,000 მანეთს. 14 მარტს ელიან მეფის ბრძანებას ეროვნულ კრების მოწვევის შესახებ.

**პარიზი.** მუშათა სინდიკატების კავშირმა დიდი მიტინგი გამართა. მიტინგს დაესწრო 3,000 კაცზედ მეტი. კრებამ მიიღო რეზოლიუცია რომელშიაც პროტესტს აცხადებენ სენატის მიერ მიღებულ მუშათა პენსიების შესახებ კანონ-პროექტის წინააღმდეგ.

**სტამბოლი.** მალინოვმა და პაპრიკოვმა პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს გადასცეს, ოსმალეთის მინისტრებთან მოლაპარაკებას დღეს თუ არა ხვალ მაინც დავასრულებთო. ბოლგარიის მინისტრები ძალიან კმაყოფილები არიან მოლაპარაკების მსვლე-

# მქრალი სტიქიონი ჩვენის ცხოვრებიდან

ხშირად ბევრი რამის თქმა სწყურიან კაცს, მაგრამ ვერ გამოუთქვამს: თითქოს ვერ უპოვნია შესაფერი სიტყვებიო, ვერ მიუბავს აზრი აზრთან, რომ ის ნაწყვეტი გრძნობანი და ფიქრები, რომელნიც მშვიდობიანობას ურღვევენ კაცის სულსა და გულს ერთ მთლიან სურათად აქციოს და თვალწინ გადაუშალოს ყველას, ვისაც აქვს გული სხვის გრძნობათა შესათვისებლად, ვისაც აქვს გონება სხვისი აზრის გასაცნობლად. ბევრჯერ უნდა სთქვას რაღაც, მაგრამ არ იცის-რა; უნდა მიჰმართოს ვიღაცას, მაგრამ არ იცის—ვის. ზოგჯერ კი უცნაურია კაცის ბუნება: რაც უნდა ყველაფერი სდუმდეს იმის გარშემო—ადამიანიც, განგებაც, ეს სიჩუმის ღმერთი, და თვით სიჩუმეც,—იგი მაინც თავისუფლად უღებს კარს თავის დახშულ წყურვილს; იმისი ხმა თავდაუჭერლად გაჰკივის ამ სიჩუმეში და ეს ხმა არის იმის მოუსვენარ აზრთა და ზრახვათა უმიზნოდ გამომსახველი, ვით სიცილი გულის სიამის გამოსათქმელად, ვით კვნესა გულის ტანჯვის ამოსათქმელად.

სწორედ მეც არ ვიცი საიდან დავიწყო, რა ვსთქვა? მიუხედავად იმისა, რომ მინდა ვსთქვა რაღაც, მინდა გული გავინთავისუფლო რაღაცისგან, გონებამ იგრძნოს რაღაც კმაყოფილება...

ერთი კი არის, რომ რაც უნდა ბევრი ვიარო, ჩვენს მიწას მაინც ვერ გავცილდები, რაც უნდა ბევრი ვიფრინო ჩვენს ცას მაინც ვერ მოვსცილდები, მაგრამ უბედურობა ესაა, რომ ეს ცაცა და მიწაც რაღაც გამოურკვეველ ბურუსშია გახვეული. მისი მცხოვრებნი თითქოს ერთმანეთს ვერა ჰხედავენ, ვერაფერს ვერა ჰხედავენ და მათი გულიც, გონებაც იმავე ბურუსით მოცულა, რომლითაც გაჟღენთილა მათ ირგვლივ მყოფი ატმოსფერა, მათი სასუნთქავი ჰაერი.

მერწმუნეთ, ბურუსს, ქვეყნის პირზედ გადაფარებულ ნისლს ბევრად ისევ ღრუბლები სჯობიან, დაე თუნდა ეს ღრუბლები ისე პირქუშად დაგვყურებდნენ მაღლა ციდან, ვით რისხვა ჯოჯოხეთისა. რაც უნდა შავი იყონ იგინი მაინც ნათლადა და გარკვეულად მოსჩანან, ვიდრე ბურუსი და ჩვენ დაჩაგრულ დროშიაც ცოტა არ მოიძებნება ივანე ოქროპირის მსგავსი, რომელიც ერთგვარ პოეზიასა და ათასნაირ გასაოცარ და წარმტაც სურათს ჰხედავს ამ ცის მაწყენაში, იმის სამგლოვიარო სამოსელში.

მაგრამ ბურუსში რას დაინახავს კაცი! დღევანდელ ქართველთა ცხოვრებაშიც არაფერი სჩანს. იგიც მხოლოდ ბურუსშია გახვეული და არავინ უწყის, ამ ბურუსს იქით მზე გვპირდება თავის ლამაზ სხივებს თუ შავი ღრუბელნი მოიცავენ ჩვენ ცხოვრების ცას. ხშირად ძალა-უნებურად დაეკითხება ხოლმე კაცი თავის თავს, სასარგებლოა თუ არა საქართველოს ჰაერით სუნთქვა, მისი ცხოვრებით არსებობა? და უნდა ვსთქვა, რომ ჰაერიც მომწამვლელია, ცხოვრებაც სულის შემხუთველი, მაგრამ ეს ინსტიქტიური ნაციონალური ეგოიზმი, რომელიც თანშეზრდილა ადამიანის არსებასთან, რომელსაც ხარბად უსუნთქია სამშობლოს ჰაერი, აიძულებს, ბრმათ აიძულებს ისევ ეს მომწამლული ჰაერი, ეს მოშხამული ცხოვრება არჩიოს სხვაგან შესაძლებელ უკეთეს ბედ-იღბალს.

ჩვენ ცხოვრებაში სიკვდილი უფრო ადვილი შესაძლოა, ვიდრე სიცოცხლე, უმოქმედობას უფრო მეტი ადგილი აქვს, ვიდრე შემოქმედებას, დაწვრილმანებას, დაცემას უფრო ფართოდა აქვს გზა გაშლილი, ვიდრე ზრდას და განვითარებას. და ის, ვისაც უყვარს ეს ორ ზღვას შუა გაჭიმული მხარე, კავკასიონის ქედის წინ გულ-გადაშლილი ქვეყანა, იძულებულია გარეგნულად მაინც შეურიგდეს ამ ცხოვრებას და მასში სცადოს თავისი ძალა, თავისი ღონე, რომელიც თანდათან სუსტდება და უძლურდება.

შრომაში, მოქმედებაში იშვიათად დაბერებულა ჩვენი კაცი. ის თავის ორგანიულ სიკვდილზე ბევრით უფრო ადრე კვდება თავის ნიჭით, თავის შემოქმედებით. მას ჰკლავს ცხოვრება, ჰკლავს თავისი თავიც, რადგან იგი ნამდვილი შვილია თავის ცხოვრებისა და მისი ავადმყოფობა, მისი საწამლავი ფერმენტივით არის გამჯდარი იმის ორგანიზმში, იგი გადაქცეულა ორგანიულ თვისებათ, თვითვე იტანჯება ამ თვისებით, ჰკვნესის იმის სიმძიმის ქვეშ, მაგრამ მის განსაკურნავად მარტო ერთი კაცის სიცოცხლე არა კმარა, ამისთვის საჭიროა გრძელი პერიოდები, რამდენიმე თაობის შეუჩერებელი შრომა, მეცადინეობა, რომ მით შეიქმნას ატმოსფერა სიცოცხლის შემმკობი, ამყვავებელი და ამ ატმოსფერაში შობილთ, ორგანიულად, ბუნებრივად თან ეზრდებოდეთ-ეხორცებოდეთ ყველა ის თვისება, რაც ცხოვრებაში ნიშნავს სიმაღლეს, წინსვლას და სიძლიერეს.

ეხლა კი რას ვხედავთ? განა მარტო ჩვენის ცხოვრებით აღზრდილი კაცი წარმოადგენს ნამდვილ ეროვნულს, ნამდვილ წევრს დღევანდელ საზოგადოებისას, კაცობრიობისას?

განა ჩვენი ცხოვრება ცხოვრებაა? აბა შეჰხედეთ, დააკვირდით იმის ნაწილებს, მათ სახეს! განა ჩვენი გლეხობა წარმოადგენს იმ გლეხობას, რომელიც შეადგენს ერის გულს, იმის სიძლიერეს? განა ჩვენი პროლეტარიატი წარმოადგენს იმ პროლეტარიატს, რომელიც თავის გულში მატარებელია საკაცობრიო მაღალ იდეალებისა და წინსვლისა? ანარის კი ნამდვილად პროლეტარიატი? იგი მხოლოდ მსგავსია მისი და არა ორიგინალი. განა ჩვენი ბურჟუაზია წარმოადგენს იმ მრავლის შემძლე სოციალურ ნაწილს, რომელიც თვითმპყრობელობს მთელ დღევანდელ ცხოვრებას? იგი მხოლოდ იმის რუდიმენტალურ მსგავსებას წარმოადგენს და სხვა არაფერს. ან ჩვენი ლიტერატურა ჰგავს ნამდვილ ლიტერატურას, რომელიც ან თავის სიფართოვით, ან თავის ღირსებით გამოდგებოდეს ადამიანის სულიერ და ზნეობრივ აღმზრდელად, დამაკმაყოფილებლად, რომ იმისი შემწეობით ადამიანი გახდეს ნამდვილ მოქალაქედ დღევანდელ კულტურულ კაცობრიობისა? იგიც მხოლოდ მსგავსია, მეტი არაფერი.

და საერთოდ მთელი ჩვენი ცხოვრება თავის სისუსტით და სიძლიერით, სილამაზით და სიმახინჯით მხოლოდ მსგავსებაა ნამდვილი ერის ცხოვრებისა, მსგავსება და სხვა არაფერი.

ჩვენი ცხოვრება არც ისე საშინლად მომწამვლელია, რომ ერთბაშად დაგვხოცოს ყველანი და არც ისე საღია, რომ ყველა აღგვადგინოს, აგვაყვაოს და გაგვკურნოს იმ თვისებათაგან, რომელიც ბოლოს მხოლოდ თვით ერისავე სიკვდილსა და გათახსირებას უწყობს ხელს, ვიდრე იმის სიცოცხლეს, გაბედნიერებას. ჩვენ არც ისე სუსტნი ვართ, რომ ერთის დაბერვით აღგვაოს ქვეყნად ცხოვრების სასტიკმა ქართა ქროლამ და არც ისე ძლიერნი, რომ შევქნათ ახალი ძლიერი ცხოვრება და ჩვენის სიძლიერით, ნიჭით შემოქმედებით ვამცნოთ კაცობრიობას ჩვენი უფლება სიცოცხლისა, არსებობისა, რომ ჩვენც შევიქმნეთ ნამდვილ წევრად იმის მრავალ-რიცხოვან ოჯახისა.

ხომ სუსტნი ვართ, უძლურნი ვართ, მაგრამ ჩვენ თავზე ჩვენ უფრო ნაკლები წარმოდგენა გვაქვს ხშირად, ვიდრე ნამდვილადა ვართ. ჩვენ ხშირად არ გვჯერა ერთი-ერთმანეთის ძალა, ერთი-ერთმანეთის ნიჭი. ხშირად ჩვენ თვითონვე ვუთხრით საფლავს ერთი-ერთმანეთს. საფლავს მარტო მიწაში არა აქვს ადგილი, იგი მარტო ბარით არ ამოითხრების. უფრო საშინელია და ბნელი ცხოვრებაში ამოთხრილი საფლავი; უფრო ღრმა არის ცხოვრების ნესტრით ამოთხრილი სამარე.

ხშირად ჩვენი ცხოვრების გეროლდებმა და მესაფლავეებმა თვითონაც არ იციან, თუ სთხრიან სამარეს, თვითონაც არ ესმით, თუ რა გზით სთხრიან მას, თვითონაც არ გაეგებათ, თუ ვის უთხრიან მას. ვერც დაინახავენ, ვერც გაიგებენ რადგან ესეთი გეროლდნი და მესაფლავენი ბრმანი არიან განუკურნავად და მოკლებულნი შორს მხედველობას. ხშირად ერთმანეთს ვერა ვხედავთ, ერთმანეთისა არა გვესმისრა.

აგერ რომელიღაც წინამძღოლი ასულა მაღლა მწვერვალზე, ხელში უჭირავს შინაურ და გარეულ მტერთან ბრძოლაში დაფლეთილი დროშა და ხმამაღლა გაჰკივის, უწოდებს მებრძოლებს ახალ გამარჯვებისაკენ, ახალ ბედნიერებისაკენ, ამომავალ მზისაკენ; მაგრამ იმისაგან განა თუ შორს არიან მებრძოლები, იგინი შორს გარიზონტზედაც არსადა სჩანან.

ამ სურათის მაცქერალს გინდა შესძახო: წინამძღოლო! გაანებე და-

ლობით. მდივანია დობროვიჩის სიტყვით მეფე ფერდინანდია ძალიან მადლობელია სულთნისა და ოსმალეთის მთავრობისა, რომელნიც მეგობრულად დაუხვდნენ ბოლგარიის მეფეს. ფერდინანდის შთაბეჭდილებით ოსმალეთში ყველაფერი შეცვლილა და განვითარების გზას დადგომია.

**კატანია**. ეტნის მთიდან ამოვარდნილი ლავა (ნაცარ-ტუტა) შეჩერდა და ნელა მიდის ქვევით. მცხოვრებლები დაწყნარდნენ.

**სოფია.** ბოლგარიის სააგენტო იუწყება: ყოვლივე საფუძვლსაა მოკლებული ის ცნობა, ვითომ მაკედონიაში არეულობისთვის ემზადებოდნენ და ამის გამო მაკედონიაში ბოლგარიის რაზმები გადასულიყვნენ.

**ბერლინი.** „ნორდ-დოიცშე-ალგემეინე-ცაიტუნგი“ სწერს: ბეტმან-გოლვეგი რომში ყოფნის დროს დარწმუნდა, რომ იტალიაში, როგორც გერმანიასა და ავსტრიაში, ღრმად დარწმუნებულნი არიან სამთა კავშირის სარგებლობასა და საჭიროებაში. მოლაპარაკებამ გამოარკვია, რომ სამთავე სახელმწიფოების მთავრობები შეთანხმებულად მოქმედებენ და [illegible] მოწადინებულნი არიან დაიცვან ახლო აღმოსავლეთის სტატუს-კვო. შემდეგ გაზეთი ეხება რუსეთ-ავსტრიის შეთანხმებას. გაზეთის აზრით ეს შეთანხმება ალადგენს რუსეთ-ავსტრიის მეგობრობას და განამტკიცებს მას.

**კატანია.** ეტნის მთიდან ამოხეთქილი ლავა (ნაცარ-ტუტა) მძიმედ მიდის. ბორელოს, ბელპასოს და ნიკოლოზის მცხოვრებლებს შიში აღარ მოელითით. მოდის წვიმა, თოვლი და სეტყვა.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობამ შემდეგი ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა: ბოლგარიის მეფის ფერდინანდის სტამბოლში ჩამოსვლა ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოების მშვიდობიან განვითარებას. მეფეების შეხვედრამ და ორთავე სახელმწიფოების სახელმწიფო მოღვაწეთა გულწრფელმა მოლაპარაკებამ კარგი ნაყოფი გამოიღეს. ამას გარდა ორივე მხარე მტკიცედ დარწმუნდა, რომ თანხმობის და მეგობრობის პოლიტიკა მით უფრო ნაყოფიერი იქნება, რომ ამ პოლიტიკას საჭიროებას ორთავე სახელმწიფოების გეოგრაფიული მდებარეობა თხოულობს. ბოლგარიის და ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა ისარგებლეს კარგის შემთხვევით და განიხილეს სხვა და სხვა საკითხები, რომლების გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოს ეკონომიურ განვითარებას. ამასთან ერთად გამოირკვა, რომ ბოლგარიას და ოსმალეთს მშვიდობიანობის დარღვევა არა სურთ და უპირატესობას მშვიდობიანობის დაცვას აძლევენ.

**სტამბოლი.** მალინოვმა პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს გადასცა, რომ ოსმალეთის მთავრობასთან შემდეგ საკითხებზე გვქონდა მოლაპარაკება: 1) ორთავე სახელმწიფოების რკინის გზების შეერთება: გადაწყვეტილია ბოლგარიის და ოსმალეთის რკინის გზები შეაერთონ კიუსტინდილსა და დუბნიცაში; 2) სავაჭრო ხელშეკრულობის დადება: ორთავე სახელმწიფოები სცდილობენ ამ საკითხში ერთი-ერთმანეთს დაუთმონ ისე რომ დარღვეული არ იქმნეს სხვა სახელმწიფოების უფლებანი. 3) საზღვრის მოწესრიგება: გადაწყვეტილია ისე მოაწესრიგონ საქმე, რომ თავიდან აცილებულ იქმნეს შეტაკებების მოხდენა; 4) ქვეშევრდომობის შეცვლა: თვითეული პირი იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომად რჩება, რომლის ქვეშევრდომადაც ბოლგარიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე იყო. ქვეშევრდომობის გამოცვლა იმ სახელმწიფოს კანონების თანახმად ხდება რომლის ქვეშევრდომადაც ითვლება ქვეშევრდომობის გამოცვლის მსურველი. 5) საეგზარხოსოს საკითხი: ეგზარხოსი მართავს ორთავე სახელმწიფოების ბოლგარელ სამღვდელოებას. გადაწყვეტილი არ არის, ვინ ირჩევს ეგზარხოს, ორთავე სახელმწიფოების სამღვდელოება, თუ მარტო ოსმალეთისა.

**ათინა.** დეპუტატთა პალატამ მიიღო ბიუჯეტი და კანონ-პროექტი უნივერსიტეტის რეფორმის შესახებ. პალატის სხდომამ დილის 5 საათამდის გასტანა. მინისტრ-პრეზიდენტმა დრაგუმისმა განაცხადა, 17 მარტს გამოქვეყნდება მეფის ბრძანება ეროვნულ კრების მოწვევის შესახებო.

### სპარსეთი

**თეირანი.** რეგენტის თანადასწრებით მოხდა ჯარის აღლუმი. აღლუმში მონაწილეობას იღებდნენ ბახტიარების ცხენოსანი ჯარი და ყაზახთა ბრიგადა. ყაზახთა ბრიგადა და ბახტიარების ცხენოსანი ჯარი კარგად გაწვრთნილნი აღმოჩნდნენ.

**თავრიზი.** ჯულფ დან იუწყებიან: ყარადაღელი ცხენოსნები თავრიზის გზაზედ მდებარე სოფლებისკენ გაემგზავრნენ. სოფლელები ჯულფაში გარბიან.

რადგანაც მსურველი არავინ არის, რომ შინაურ სესხზედ ხელი მოაწეროს, ამიტომ მთავრობამ გადასწყვიტა ადერბეიჯანში ერთი მილიონი მანეთი ძალით მოკრიფოს. ამის გამო თავრიზელი შეძლებული ვაჭრები და მემამულეები თავრიზიდან გაიქცნენ.

### რუსეთი

**პეტერბურგი** სენატის განკარგულებით სამართალში მისცეს ვეტლუგის თავად-აზნაურთა სამაზრო წინამძღოლი ვერხოვსკი, ვეტლუგის გამგეობის წევრები შირიაევი, იაბლოჩკოვი და მიაგკოვი, გადასახადთა ინსპექტორი გავრილოვი და მაზრის უფროსი ანდრონიკოვი. ბრალდებოდით სამაზრო კრებაზე უკანონო დადგენილების მიღება. ამ დადგენილებით მოიჯარადრეებთან ხელშეკრულობა დასდეს, რომლითაც მოიჯარადრეები მოვალენი იყვნენ გამგეობისთვის 20,000 ფუთი ხორბალი ჩაებარებინათ.

**ირკუტსკი.** დააპატიმრეს უცნობი, რომელიც კალბასის ქარხნის პატრონთან მივიდა და ანარქისტების სახელით 1000 მანეთი მოსთხოვა.

**დონის-როსტოვი.** სადგურ ვერგელევკას ახლოს საქონლის მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. დაიმტვრა ორთქლ-მავალი და 19 ვაგონი. მოკვდა მემანქანე, მძიმედ დაშავდა მაშინისტის თანაშემწე და უფროსი კონდუქტორი.

**უფა.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია 10 კაცის საქმე. ბრალდებოდათ პოკროვსკების კანტორაზე თავდასხმა და ფულის გატაცება. სასამართლომ გადაუწყვიტა 3 სიკვდილით დასჯა, 6 სხვა და სხვა ვადით კატორგა, და ერთი გაამართლა.

**პეტერბურგი.** მიწათ-მოქმედების მთავარ გამგეობის თათბირმა დაადგინა, იმ გუბერნიებში, სადაც ერობა არ არის, მცხოვრებლებს აგრონომიულ დახმარებას მთავრობა უჩენს, სადაც ერობა არის, იქ მთავრობა მცხოვრებლებს იმდენსავე აძლევს, რამდენსაც ერობა. თუ ერობა მცხოვრებლეს აგრონომიულ დახმარებას არ უჩენს, მაშინ მთავრობა კისრულობს საქმის გაძღოლას.

**პეტერბურგი.** სამხედრო საბჭომ მოიწონა სამხედრო სასწავლებლების მასწავლებლებს ჯამაგირი მოემატოთ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს პრეზიდიუმმა განიხილა პურიშკევიჩის თხოვნა, რადგანაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ერთი კვირა დაპატიმრებული უნდა ვიყო, ამიტომ ამ ხნის განმავლობაში სათათბიროდან დამითხოვეთო. პრეზიდიუმმა უყურადღებოდ დასტოვა პურიშკევიჩის თხოვნა. პრეზიდიუმის აზრით პურიშკევიჩის თხოვნა სათათბიროს საერთო სხდომამ უნდა დააკმაყოფილოს.

**პეტერბურგი.** უმაღლესი მანიფესტი იმპერიისა და ფინლიანდიისთვის საერთო საქმეთა განხილვის წესრიგზე: „დავამტკიცეთ რა 1906 წ. 20 თებერვალს მანიფესტით უმთავრესი საფუძველნი ჩვენის კანონმდებლობისა, იმასთანავე გამოვაცხადეთ, რომ იმპერიისა და ფინლიანდიისათვის საერთო კანონპროექტების განხილვისთვის თავის დროზე ნაბოძები იქნება შესაფერი დარიგება. ამისათვის 1909 წლის 28 მარტს ვბრძანეთ, დაარსებულიყო ახალი კომისია, იმპერიისა და ფინლიანდიის წარმომადგენელთაგან თანასწორად, ახალ წესის შესამუშავებლად ხსენებულ საქმისთვის. კომისიის მიერ შედგენილ წესის განხილვის შემდეგ, მინისტრთა საბჭომ შეადგინა კანონპროექტი იმის შესახებ, თუ რა წესრიგით უნდა გამოიცეს საერთო სახელმწიფო კანონები. ჩვენ სასურველად მიგვაჩნია, რომ ეს კანონი განხილულ იქმნას საზოგადო საკანონმდებლო წესით, ხოლო იმ ადგილობრივ კანონების გამოცემის წესით, რომელიც განსაკუთრებით ფინლიადიას შეეხება, უნდა დატოვებულ იქმნას. ჩვენ სასარგებლოდ ვცანით ფინლიანდიის სეიმს უფლება მივცეთ თავისი აზრი გამოსთქვას ხსენებულ კანონ-პროექტზე იმ პირობით, რომ სეიმის დადგენილება შემდეგში განსახილველად წარედგინოს სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს. ვაძლევთ რა ამ საქმეს არსებით მნიშვნელობას ჩვენის სახელმწიფოს მოწყობისათვის, მტკიცე იმედი გვაქვს, რომ სახელმწიფო სათათბირო და საბჭო რიგზე შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას რუსეთის იმპერიის ერთობისა და განუყოფელობის უაღრესად განსამტკიცებლად და ყველა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომთა საკეთოდ. ამის გამო ვბრძანებთ: 1. მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი ფინლიანდიისთვის კანონების გამოცემის წესრიგზე (აქ გამოშვებულია ტელეგრაფის მიერ...) 2. ფინლიანდიის სეიმს უფლება მიეცეს თავისი აზრი გვაცნობოს ამ კანონ-პროექტზე და ეს აზრი გადაეცეს განსახილველად სახელმწიფო საბჭოს, 3) სეიმს ერთის თვის ვადა დაენიშნოს ამ საქმეზე თავის აზრის წარმოსადგენად ვადა ითვლება ხსენებულ კანონ-პროექტის ჩაბარების დღიდან. ნაბოძებია ცარსკოე სელოში 14 მარტს 1910 წელს. ნიკოლოზ“.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **სამხედრო წესები.** „ბაკუ“ იუწყება: ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეებში ხმა დადის, რომ ხსენებულ რკინის გზაზე სამხედრო წესებს კარგა დიდ ხანს კიდევ დასტოვებენო. ამის მიზეზად ასახელებენ ამ ბოლო უკანასკნელ დროს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე გახშირებულ ცარცვა-გლეჯას, ნამეტნავად ქუთაისის გუბერნიაში. ნაბრძანებია რკინის გზის იმ სადგურზე, სადაც უფრო საშიშოა, გააძლიერონ დამცველი რაზმებიო.

✦ **ყუმბარა.** ექსპერტების გამორკვევით, ძმათა მილოვების სამანუფაქტურო საქონლის საწყობში აფეთქებული მანქანა აღმოჩნდა ყუმბარა იორდანოვის სისტემისა.

✦ **კრების ნებართვა.** როგორც ვიცით, შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ ვაჭრობის მინისტრთან შუამდგომლობა აღძრა მეცამეტე მორიგ კრების მოწვევის შესახებ. დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს დაუკმაყოფილებია თხოვნა. კრება მოხდება 26 აპრილს.

✦ **წყალი ახალშენში.** მდინარე ვერის მარცხენა ნაპირას უკვე დასახლდა 200 კომლამდე. ამ ადგილს სახელად დაერქვა „ახალშენი“. როგორც ეწერდით, ახალშენს წყალი არა აქვს. ახალშენელებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას ამ უბანში წყლის მილის გაყვანა. წყლის მილის გამგემ გამგეობას მოახსენა, რომ ახალშენის მცხოვრებნი მართლაც გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან უწყლოობითაო. გამგეობამ დაადგინა, გადადოს მილის გასაყვანად 1500 მან. მილის გაყვანა მიენდოს ინჟინერ ქურდიანს.

✦ **მცირე-წლოვან დამნაშავეთა თავშესაფარი.** ზემო ავჭალაში მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელი თავშესაფარი სულ დაიხურა მოძრაობის შემდეგ. ამ ბოლო დროს თავშესაფარის შემნახველ საზოგადოების წევრთა შორის კვლავ ალიძრა ლაპარაკი თავშესაფარის მოქმედების განახლების შესახებ. კვირას, 14 მარტს, მოხდა საზოგადოების კრება. კრებას განსახილველად წარედგინა ხარჯთ-აღრიცხვა. თავშესაფარი გაიხსნება მაისის ბოლო რიცხვებში. წლის დამლევამდე თავშესაფარს შესანახად სჭირია 5500 მან. კრებამ ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა და დასასრულ აირჩია გამგეობის წევრნი. არჩეულ იქმნენ: სამოსამართლო პალატის თავმჯდომარე ა. ზ. კოჩუბეი, პ. ბახმეტიევი, თავ. პ. თუმანიშვილი, პ. მ. დოლუხანოვი, ს. პუშკაროვი, იუზეფსკი და კოვალჩენკო.

✦ **გუბერნატორის მოგზაურობა.** გუშინ ტფ. გუბერნატორი გორის მაზრაში წავიდა ზოგიერთ ადგილების დასათვალიერებლად. სხვათა შორის, გუბერნატორი დარჩება ერთ დღეს დაბა სურამში ცეცხლისაგან გადამწვარ ებრაელთა მდგომარეობის ადგილობრივ გამოსარკვევად და შემდეგ გაემგზავრება ბორჯომს. გუბერნატორი მაზრაში დარჩება სულ 5—6 დღეს.

✦ **გადასახლებულების ცემა.** გაზ. „ვიატსკ. რეჩ“ სოფელ პოლომიდან (ვიატ. გუბ.) ატყობინებენ; „პირველ მარტს სოფელ პოლომის გლეხები თავს დაეცნენ ადმინისტრატიულად გადმოსახლებულებს და ადგილობრივ ინტელიგენტებს. გლეხებმა ძალიან სცემეს ზოგიერთ გადმოსახლებულებს, მასწავლებელ-ქალს, ფერშალს და ბეითალს. სხვათა შორის ძალიან ნაცემია გადმოსახლებული ქინქლაძე. სოფელ ზაევაში მოხდა ასეთი ამბავი. გლეხებს ვილაცები არწმუნებდნენ, რომ მათ ამისთვის არ დასჯიან. დაშავებულებმა დეპუტატ კ. ჩხეიძეს დეპეშა გაუგზავნეს და დახმარება სთხოვეს, რადგან გლეხები იმუქრებიან, სულ ერთიანად გაგწყვეტავთო“.

✦ **ფოსტის შენობა.** ტფილისის ცენტრალურ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ახალ შენობის ასაგებად გადადებულია 145 ათასი მანეთი. ეხლავე 45 ათასი მანეთი მიეცემა ამშენებელს. მუშაობა ეხლავე უნდა დაიწყონ და თვით შენობა შემოდგომამდე უნდა დასრულდეს.

✦ **სამგლოვიარო წერილი.** იურიევიდან შემდეგი წერილი მივიღეთ: „სხვა ამხანაგების მწუხარებას უერთებთ ჩვენსასაც უდროოდ დაკარგულ ამხანაგ ალექსანდრე (აჯია) ბახტაძის სიკვდილის გამო. განსვენებულის ამხანაგები ა. მხეიძე, ვ. იმნაძე, ი. ურუშაძე“.

✦ **თავის მოკვლა.** 13 მარტს, დილის 8 საათზე, რევოლვერით თავი მოიკლა რეალურ სასწავლებლის მოწაფემ ნაყოფმა ირაკლი ალექსის ძე ჟღენტმა.

✦ **ტალახაძის შეპყრობა.** ბათუმში პოლიციამ შეიპყრო ნიკოლოზ ტალახაძე, რომელსაც ბევრი სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდება. სხვათა შორის მას აბრალებენ სტრაჟნიკის ზაქაროვლის მოკვლას და მთავრობის მამასახლისის სავანელის დაჭრას, თავ. გიორგი სუმბათაშვილის ტყის მცველებზე თავდასხმას, ბაკურიანის სადგურზე თავდასხმას და სადგურის უფროსის მოკვლას, სურამის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის გაცარცვის განზრახვას და ბევრ სხვას. დაპატიმრებული ტალახაძე ბათუმიდან გორში ჩამოიყვანეს და საპყრობილეში ჩასვეს.

✦ **დაპატიმრება.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, მინსკში დაუპატიმრებიათ როზოვი. ბრალდება 1905 წელს კავკასიაში ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვისა მოწყობა. დიდი ხანია, რაც როზოვს ტფ. სამოსამართლო პალატა ეძებს.

✦ 14 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, ვერა-ცერკოვის ქუჩაზე მდგომ პოლიციელს მოესმა ხევიდან რევოლვერის ხმა. პოლიციელი გამოეხმაურა და რაკი პასუხი ვერ მიიღო, ასტეხა თოფის სროლა. მალე ხევს ალყა შემოარტყეს მაგრამ ვერაფერი ნახეს.

ტფ. პოლიცმეისტერმა დაავალა ბოქაულებს, სასანიტარო ექიმებთან ერთად თვალყური ადევნონ ქალაქში ხორცის გაჭრობას. ყასბები მეტად უსუფთაოდ ინახავენ დუქნებს.

✦ 14 მარტს, შემამდეს ზ. აბდუშელიშვილს [illegible] ადგილიდან გაურეკია [illegible] სოფელ დამისვანელ გლეხების საქონელი. საქონლის პატრონმა გლეხებმა ბევრი სთხოვეს აბდუშელიძეს საქონელი დაუბრუნებინა, მაგრამ აბდუშელიძემ თხოვნა-მუდარას არ შეიწყნარა. გლეხებმა საქონლის [illegible] აცნობეს ადგილობრივ ადმინისტრაციას, მაგრამ რადგან არავითარი დახმარება არ მიიღეს, აირჩიეს რამდენიმე კაცი და დაავალეს გუბერნატორთან ეჩივლათ აბდუშელიძეზე და ადგილობრივ ადმინისტრაციაზე. არჩეულმა კაცებმა დეპეშა გაუგზავნეს ტფ. გუბერნატორს.

✦ 14 მარტს, დილის 4 საათზე, პატარა ვანქის ქუჩაზე დააპატიმრეს საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული და ტფილისში თავის ნებით დაბრუნებული თელავის მაზრის მცხოვრები ივანე ლევანის ძე ბეჟანაშვილი.

✦ 13 მარტს, დილის 7 ნახ. საათზე ავეტიქ პეტროსოვის ძის შარბაზიანცის სახელოსნოდან (პესკოვის ქუჩა, № 53) გაუტანიათ 120 წყვილი ჩუსტი, სულ 90 მანეთისა.

✦ 13 მარტს მე-4 საპოლიციო ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 22 უპასპორტო კაცი.

✦ 20 მარტს სალამოსთვის კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია კრება ტფ. საბეითლო საზოგადოებისა, რომელსაც განსახილველად წარედგინება რამდენიმე მიმდინარე საქმე.

✦ გამოვიდა მე-11 ნომერი ახალი სათეატრო-სალიტერატურო ჟურნალისა „თეატრი და ცხოვრება“. ამ ნომერში, სხვა და სხვა წერილებისა და მოთხრობის გარდა, მოთავსებულია ივ. გომართლის ახალი კომედია „დრამატიულ გამგეობის წევრი“.

—

**შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის მე-55-ე და მე-56-ე ნომრებში მოთავსებულს ბიბლიოგრაფიაში შემდეგი შეცდომა შეპარულა: მე-55-ე ნომერში, მეოთხე გვერდზე მეოთხე სვეტზე, სტრ. მე-26-ე დაბეჭდილია: კორკისა და კბილის მიერი, უნდა იყოს: სასისა და კბილის მიერი. მე-56 ნომ., მეოთხე გვერდზე, მეოთხე სვეტზე, სტრ. მე-6-ე დაბეჭდილია: „სომხურშიაც იხმარება *կակաչել*“, უნდა იყოს: „სომხურში არ იხმარება *կականել*“. იქვე სვეტი მე-5-ე: შენიშვნის მე-13 სტრიქონში „ნამდვილი“-ს შემდეგ ადგილი სიტყვიდან „და“ სიტყვამდე **დაიბეჭდა**“ უნდა მოთავსდეს ფრჩხილებში.

## წერილი საჭილაველებისადმი

არავისათვის დამალული არ არის, რომ საშინელი განსაცდელი მოგვადგა კარს: მიწა-წყალი გვეყიდება და ხსნა კი არსად არის. განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს გული სიხარულით გვევსებოდა რომ ჩვენი ერის დედაბოძი—გლეხობა იღვიძებდა, და ადამიანურ უფლებებისათვის იბრძოდა. ვფიქრობდით, ეს დედაბოძი ჩვენის ერისა გამაგრდება, განვითარება და ეროვნულს სიმტკიცეს უზრუნველსა ჰყოფსო. მეორე წოდება—თავად-აზნაურობა ძირს დაეშვა. წოდება, რომელიც წინად მამულს იცავდა, ეხლა ჰყიდის ამავე მამულს, ჩვენის წინაპართა მიერ სისხლით მორწყულ მიწა-წყალს. არავინ ინაღვლებდა ამ წოდების გაქარწყლებას, ჩვენს გლეხობაში რომ შესაფერი შეგნება იყოს და გაყიდულ მამულს რომ ისევ ქართველი მშრომელი გლეხი იძენდეს. სამწუხაროდ, ჩვენი მოლოდინი სავსებით არა მართლდება და ბევრგან გლეხები უგულოდ შესცქერიან კარზე მომდგარ უბედურებას.

განა სასოწარკვეთილებას და უიმედობას არ მიეცემი, როდესაც უყურებ ჯავახეთს, ოდესღაც ქართველთაგან დასახლებულს, ხოლო ეხლა ფერად-ფერადებად აჭრელებულს, და განა ესევე არა ხდება ეხლა ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში? გლეხობა ყურადღებით არ იქცევა. ეს საზოგადო მოვლენაა.

„დროებაში“ დაიბეჭდა ცნობა საჭილაველების შესახებ. ხუთი საზოგადოება—საჭილაო, ნასაკოვი, ილორი, სამიქაო და კავათინა—სარგებლობს მამულებით: ცილარით, ლონჩახით, ბალუონით და ბოგამით. ეს მამულები თავად-აზნაურებისა იყო და დღეს ბანკს დარჩა სარგებელში. თქვენ სარგებლობდით ამ მამულით, ხოლო დღეს ხელიდან უშვებთ და იმათ ხელ-

---

ხილს თავი, დაარჭე დროშა მანდ, თვით კი ჩამოდი ძირს და უდაბნოს მსგავს არემარეში ჩუმად, მაგრამ ფხიზლად ეძებე სათითაოდ მებრძოლნი, სიცოცხლისა და ღირსეულ ცხოვრების მაძიებელნი! დროშა კი, დაე, ერჭოს იქ, მაღლა და იგი წინამძღოლს მოუწოდებს თავისაკენ მაშინ, როცა იგი მართლა იქნება სარდლად ახალის ძალისა, მისწრაფებისა. ეხლა კი ნუ დგეხარ ეგრე ობლად, ეგრე მაღლა. ჩქარა შეგამჩნევს მტრის თვალი, ჩქარა მოგხვდება მისი ტყვია და თუ ასცდი მტრის რისხვას, მაშინ თვით შენი ობლობა, გარემოცული სიჩუმე, შესაზარი სიჩუმე შენს ენერგიულ ძახილზე მოგიკლავს გულს, შთანთქავს სასოწარკვეთის ტალღებში და ისე გაგრიყავს ცხოვრებიდან, სადაც გქონდა მხოლოდ კეთილი განზრახვანი, მაგრამ ვერაფერი განახორციელე, მხოლოდ ლაპარაკობდი, მაგრამ—ვერაფერს ვერ აკეთებდი.

მართალია, ხმა მაღლა **ლაპარაკს** ქვეყნიურ გულშემატკივრობაზე, ხალხის სიყვარულზე აშენებულს ხშირად ძლიერ ტაშსაც ვუკრავთ ხოლმე, მადლობის ნიშნად ქონებასაც ვაძლევთ, თუ კი გვაბადია, სახელსაც, სიყვარულსაც, მაგრამ საქმითკი ცხოვრებაში გადადგმულ ყოველი ნაბიჯით ვშორდებით მას, ვთრგუნავთ იმ იდეალებს, რასაც ჩვენ ტაშს ვუკრავდით, შევხაროდით და თვით მოლაპარაკეც ისე შორს არის საქმეზე, როგორც მისი მსმენელნი; თავის ყოველ დღიურ ცხოვრებით, მისვლა-მოსვლით, დამოკიდებულებით თუ არ სთრგუნავს, ისევე პასსიურად უხვევს გვერდს თავის მიერ დასახულ წმიდათა-წმიდას, როგორც იმის ყურის მგდებელნი.

ცხოვრება იმის პარადულ ფორმაში კი არ გამოიხატება, მქუხარე წუთებით კი არ გაიცნობება, არამედ თავის ჩუმ და წყნარ მიმდინარეობაში, მის ყოველ წუთში, ყოველ ნაბიჯში, ყოველ საქმეში. ცხოვრება მხოლოდ მაგ ფორმებში მიმდინარეობს თავის სიძლიერით და სისუსტით, ლამეებით და დღეებით, სიკეთით და სიბოროტით. ჩვენ ხშირად უყურად ღებოდ ვსტოვებთ ამ ცხოვრებას და მთელის ჩვენის გონებრივის პროჟექტორით მივსჩერებივართ, რაც ხმამაღლა გაისმის, რაც თვალის მომჭრელად ჩნდება. ჩვენ ყოველთვის დავცურავთ ცხოვრების ზედაპირზე. იმის გულში კი ყოველთვის გვეძნელება ჩახედვა. ყველაფერი ცხოვრების გულშია, გული კი ყველაფერშია. კაცმა კაცს შეჰხედა—გაჩნდა გული. ყოველ მოქმედებაში, ყოველ აზრში იბადება გული, ყოველ მოვლენაში, ყოველ დამოკიდებულებაში არის გული და გულთან არის სულიც:

ვისაც უნდა გაიცნოს ცხოვრება, ვისაც სწყურიან შეჰქმნას რამ, იგი უნდა ჩასწვდეს იმის სიღრმეს, ყველაფერს ჩაჰხედოს გულში, იქ გაიცნოს ყველაფრის აზრი, ყველას წყურვილი, ზრახვანი და სულის კვეთებანი და იმის სიტყვას, იმის საქმესაც მხოლოდ მაშინ ექნება ნამდვილი მნიშვნელობა.

ჩვენში კი, ოჰ, რა ცოტას შეუძლიან გულში ჩახედვა! რა ცოტას შეუძლიან გაიცნოს, შეითვისოს და შეიყვაროს გულიდან ამომხვევბული გრძნობანი და სულისკვეთებანი!

ლევ. მეტრეველი.

ში აგდებთ, ვინც მგზავრადაც არ გაგატარებთ თქვენივე ოფლით მორწყულს მამულზე. დაფიქრდით, თუ არ შეიძენთ ამ მამულებს, ბარემ აიყარენით ცოლშვილით და შავ-ზღვაში გადაცვივდით. თუ მანდ 300 კომლი სხვა ტომის ხალხი ჩამოსახლდა, ფეხსაც აღარ დაგადგმევინებენ იმ მამულზე, რომელიც თქვენა გკვებავდათ. სად მოიყვანთ სიმინდს, სად მოაძოვებთ საქონელს? დღეს თუ საჭილაო თავის მდგომარეობით ამაყობს, რა იქნება ხვალ? გაზეთის მკითხველი ვერ წარმოიდგენს იმას, რაც თქვენ თავზეა მოსალოდნელი.

დროს ნუ ჰკარგავთ, ეხლავე მიმართეთ სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკს, შეაჩერებინეთ გაყიდვა, ამოირჩიეთ თქვენს შორის რწმუნებულნი საქმის საწარმოებლად, გაჰგზავნეთ ტფილისში. მივიდნენ ბანკში და მოურიგდნენ. თუ არ ეცოდინებათ, ვის მიმართონ, როგორ დაიწყონ საქმე, ტფილისში არის ხალხი, რომელიც გზას უჩვენებს, მხოლოდ ნუ აყოვნებთ და ნუ აგვიანებთ.

**მ. ჯგალიანი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქიათურა.** 11 და 12 მარტს ტფილისის ქართულმა დრამატიულ. დასმა ვლ. ალექსი-მესხიშვილისა და კ. მესხის მონაწილეობით გამართა ადგილობრივ თეატრში ორი წარმოდგენა. ითამაშეს „ჰამლეტი“ და „ურიელ აკოსტა“. სამწუხაროდ, „ჰამლეტმა“ ისე ვერ ჩაიარა, როგორც მოელოდა ქიათურის საზოგადოება. ჩვეულებრივად კარგი იყო მესხიშვილი ჰამლეტის როლში, მაგრამ მასაც ეტყობოდა რაღაც უგულობა, რაც ძლიერ სუსტი ანსამბლის ბრალი უნდა ყოფილიყო. კარგები იყვნენ ლაერტის როლში ზარდალიშვილი და მსახიობისაში გვარაძე. არც მ. მდივანს უშავდა რა ოფელიას როლში, თუმცა მთელი სიძლიერით ვერ გადმოგვცა მან ოფელიას უმანკო სულის კვეთება. დანარჩენები ყველანი სუსტობდნენ, განსაკუთრებით მეფისა და დედოფლის როლებში ანდრონიკაშვილი და რიონელი. კოტე მესხი პოლონიუსის როლს ასრულებდა, მაგრამ ხმა სრულებით დაჰკარგოდა, რადგან გაციებულიყო, და ამიტომ ამ ნაკლულევანების შევსებას მიმიკით ცდილობდა, რის გამოც პოლონიუსი სასახლის ხუმარას უფრო მოგვაგონებდათ, ვიდრე დახელოვნებულს დიპლომატს. ჰორაციო (ჟივიძე) ეს განუყრელი და უგულითადესი მეგობარი ჰამლეტისა, შესაფერად ვერ უჭერდა მხარს მესხიშვილს.

სამაგიეროდ, მეორე დღეს, „ურიელ აკოსტ.“ მშვენივრად და თითქმის სრულის ანსამბლით ჩაიარა. მესხიშვილი ამ დღეს მშვენიერი აკოსტა იყო. ტაშისცემასა და ვაშას ძახილს დასასრული არა ჰქონდა. უკანასკნელ მოქმედების შემდეგ შვიდ-რვაჯერ გამოიწვიეს სცენაზე მესხიშვილი. საერთოდ კარგები იყვნენ „ურიელ აკოსტაში“ ყველანი განსაკუთრებით კი მდივანი (ივდითის როლში), ზარდალიშვილი დე სილვასაში, მატარაძე რაბინისაში და გვარაძე ძმის როლში. არა-უშავდათ რიონელს დედის როლში, ჟივიძეს ბენიოხაისაში და კ. მესხს ბენ აკიბას როლში; ეს უკანასკნელი ამ საღამოს გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე პირველში, მიუხედავად იმისა, რომ ხმა არც ამ საღამოს მოსვლოდა. სუსტი იყო ისევ ანდრონიკაშვილი მანასეს როლში, თუმცა, როგორც გამოირკვა, ეს მსახიობი სრულიად მოუმზადებლად და მოულოდნელად გამოუშვათ. ეს როლები თურმე თვანიძეს უნდა ეთამაშნა, მაგრამ ავადმყოფობისა გამო დასის მოგზაურობაში მონაწილეობა ვეღარ მიუღია. იქ, სადაც მსახიობს მაინცა და მაინც მომზადება არა სჭირია, ანდრონიკაშვილმა დააკმაყოფილა ალაგ-ალაგ საზოგადოება; მაგალითად, კარგი იყო იგი „ურიელ აკოსტას“ უკანასკნელ მოქმედების ბოლოში, სადაც უზომოდ შეწუხებული მანასე ბუნებრივის გრძნობით ჩაჰქვითინებს მამის მკლავზე მისვენებულს საყვარელს ივდითს.

არ ვიცი, მთელი დასის ბრალია, თუ რეჟისორისა ან ადმინისტრატორის, მაგრამ უნდა აღვნიშნო ერთი თვალსაჩინო ნაკლულოვანება. „ჰამლეტში“ სრულიად გამოსტოვეს სცენა სასაფლაოზე, რამაც საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შეიძლებოდა ეს სცენა არ გამოეტოვებინათ, რადგან მოწყობილება აქაურ სცენისა სრულიად ხელს უწყობდა დასს. მით უფრო სამწუხარო და არა სასიამოვნო იყო ეს გარემოება, რომ გამგეობამ როგორც რეჟისორი (მესხიშვილი) ისე ადმინისტრატორი (ურუშაძე) გააფრთხილა და სცენაც ამის მიხედვით მოუწყო. „რომ გამოუშვათ, რას იზამენ“ გაზეთებში გაგვლანძღავენ, მეტი ხომ არა იქნება რაო“, ამბობდნენ ორივენი ეს ცოტა არ იყოს, საზოგადოებისადმი უყურადღებობაა. მეტიც: ეს საცინლად აგდებას ნიშნავს და საზოგადოებაც რომ ასე მოექცეს ჩვენ მსახიობთ, დარწმუნებული ვარ, მათ გულის წყრომას საზღვარი არ ექნება.

„ჰამლეტზე“ თეატრი გაიჭედა ხალხით, მაგრამ მეორე დღეს ხალხი ნაკლებად დაესწრო: „ჰამლეტის უანსამბლობამ ბევრს გული გაუტეხა და „ურიელ აკოსტაზე“ დასასწრებლად უარი ათქმევინა. **მონაპირე.**

—

**ქუთაისი.** 13 მარტს დაიწყო ტფილისის ქართულ დრამატიულ დასის გასტროლები ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით. პირველ დღეს წარმოადგინეს „ჰამლეტი“. თუმცა ამ უკვდავს პიესას საზოგადოთ დიდ-ძალი საზოგადოება ესწრება, განსაკუთრებით, როცა „ჰამლეტს“ მესხიშვილი ასრულებს, მაგრამ ამ წარმოდგენას იმდენი საზოგადოება არ დაესწრო, რამდენიც მოსალოდნელი იყო. ეს მოვლენა აიხსნება იმ გარემოებით, რომ ქუთაისის საზოგადოება ცოტათი გულ-ნატკენია ბ-ნს მესხიშვილზე. ეს გასტროლი არა ჰგავდა ბ-ნ მესხიშვილის ძველს გასტროლებს, როდესაც მთელი საზოგადოება, დიდის ამბითა და აღტაცებითა ეგებებოდა იმის ჩამოსვლას და თეატრის ბილეთებს ერთი კვირით ადრე იტაცებდა.

წარმოდგენამ, მეტი რომ არა ვსთქვათ, სუსტად ჩაიარა. თვითონ მესხიშვილიც კი ვერ იყო ისეთი ჩინებული ჰამლეტი, როგორიც წინად გვინახავს, განსაკუთრებით პირველ ორ მოქმედებაში, სადაც მან თავის შეუფერებელ სიტყვითა და მოქმედებით საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მართალია, მესხიშვილი კარგი მსახიობია, მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც ნებას არ აძლევს, რომ დაივიწყოს ადამიანისათვის საჭირო დისციპლინა, წესიერება და საზოგადოება პირდაპირ მასხარად აიგდოს. მაშ სადაური წესი და რიგია, რომ სცენაზე, საზოგადოების თვალის წინ, ყველასათვის გასაგონად, მსახიობს „ვირი“ („осель“) უწოდა და ხელითაც კი შეეხო, როგორც ეს ბ-ნმა მესხიშვილმა ინება! იქნება ზოგიერთმა მსახიობმა კიდეც დაიმსახურა ასეთი პატივისცემა, მაგრამ მასთან ანგარიშების გასწორება ფარდის უკან შეეძლო და არა სცენაზე. ეს მარტო მსახიობსა კი არა, მთელი საზოგადოების გალანძღვა და გალახვა იყო. მართალია, იმ მსახიობებთან, რომელნიც გვერდში ედგნენ მესხიშვილს (გარდა ორიოდ-სამიოდესი), შეუძლებელიც იყო გაუპრაზებლობა და აუღელვებლად, გულიანად თამაში, მაგრამ ეს რა საზოგადოების ბრალია: ეს მსახიობები ხომ, ორიოდე პირის გარდა, თვითონ ჩამოიყვანა ტფილისიდინ და, მაშასადამე, კარგად იცოდა, თუ რა მსახიობებთან ექნებოდა საქმე.

ბ-ნი მატარაძე მეფის კლავდიუსის როლში მეტად ტლანქი და მოუხეშავი რამ იყო. ქ-ნის ივანიძის მიერ დახატულს გერტრუდას, ვეჭვობ, რომ ვინმე მოეხიბლოს თავის „სილამაზითა“ და „მშვენიერებით“ (ქ-ნი ივანიძე რონელის მაგივრად გამოიყვანეს ამ როლში). ვისაც ოფელიას როლში ქ-ნნი ნ. ჩხეიძისა და ნ. დავითაშვილის ასულნი უნახავს, მას, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებდა მდივნის ასული. ბ-ნის ანდრონიკაშვილის მიერ დახატულმა ჰორაციომ თუმცა თვალ-ტანადობით კი მოგვხიბლა, მაგრამ მიხვრა-მოხვრა და ხმა შეუფერებელი ჰქონდა. ძლიერ სუსტობდნენ ალექსიძე—მარცელუსი, ურუშაძე—როზენკრაცი, ჟივიძე—გილდენსტერნი. კარის კაცნი და დიდებულნი ვერ იყვნენ „დიდებულად“ მორთულნი და „დიდებულ“ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდნენ. კარგი აქტიორი იყო ბ-ნი გვარაძე. რიგიანად შეასრულა ჯერ პოლონიუსისა და შემდეგ მესაფლავეს როლი ვ. ბალანჩივაძემ. არა უშავდარა ლაერტის როლში ზარდალიშვილსაც.

—

**ქართული თეატრი.** კვირას, თოთხმეტ მარტს, ქართულ თეატრში წარმოადგინეს ორი პიესა „მეგობრობა“, შიუკაშვილისა და „დრამატიულ საზოგადოების წევრი“ ივანე გომართელისა. არჩილის როლს „მეგობრობაში“ ასრულებდა ვ. გუნია. ეს პიესა ქართულ თეატრში ამ საღამოს პირველად არ უთამაშნიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, წარმოდგენამ მაინც სუსტად ჩაიარა. კარგი იყო მხოლოდ ვ. გუნია და თ. გოგოლაშვილი, რომელმაც დაკვირვებით შეასრულა არჩილის ქალიშვილის როლი.

დაღვრემილი საზოგადოება გომართლის ვოდევილმა გაამხიარულა, თუმცა აქაც მოთამაშენი სუსტობდნენ და ზოგიერთი ადგილიც გამოუშვათ, რაიც პიესას ელფერს უკარგავდა. კარგები იყვნენ: ვ. გუნია, იმნელი, გამყრელიძე და ალ. იმედაშვილი. წარმოდგენას ხალხი ძალიან ნაკლებად დაესწრო.

—

**გასამართლება.** დღეს, 16 მარტს, ქართველ ქალთა სახელოსნო სკოლის სასარგებლოდ, ქართულ თეატრში ძალიან საინტერესო საღამოა. გაასამართლებენ დრამის „სამშობლოს“ გმირებს ქეთევანსა და ხიმშიაშვილს: სასამართლოს თავმჯდომარედ იქნება ილია ზურაბიშვილი, ბრალმდებლად—შალვა ალექსი-მესხიშვილი, დამცველებად—ალექსანდრე მდივანი და სოსებ მაჰავარიანი. ბრალდებულთა როლებში გამოვლენ: ქეთევანისა—თამარ გოგოლაშვილი, ლევან ხიმშიაშვილისაში—ს. ყიფიანი, მოწმეების როლებში: ლეონიძისაში—გიორგი ანანიაშვილი, შაჰისაში—კონს. მაყაშვილი. მოსამართლეებად, ნაფიც-ვექილებად და სხვ. იქნებიან ქ-ნნი განდეგილი, ნინო ნაკაშიძე, სოფ. რომანიშვილი, მ. ვახვახიშვილი-წერეთლისა, ან. ჯაფარიძე; ბ-ნნი ივანე ზურაბიშვილი, გ. ლასხიშვილი, იოსებ ბარათაშვილი, პ. ნ. ლორთქიფანიძე, შ. მიქელაძე, პ. სურგულაძე, მაჩაბლიშვილი, ფალავა, ციციშვილი და სხვები. გასამართლების შემდეგ დიდგმება ვოდევილი „პირველი და უკანასკნელი კოცნა“.

## შორეულ აღმოსავლეთი

**მოლაპარაკება იაპონია-ამერიკის ხელშეკრულობაზე.**

ამერიკული გაზ. „ნიუ-იორკ-ჰერალდი“ იუწყება: იაპონიის მთავრობამ წინადადება მისცა შეერთებულ შტატების მთავრობას: ფორმალური ხელშეკრულობა დავდოთ ერთმანეთთან შორეულ აღმოსავლეთის საქმეებზე, ღია-კარების პოლიტიკა დავიცვათ ჩინეთში და ყველა ერთვნების ვაჭრობის თანასწორი უფლება უზრუნველვყოთ შორეულ აღმოსავლეთში.

იაპონია თხოულობს იმ ხელშეკრულობაში ამნაირი მუხლი ჩაიწეროს: თუ ვინიცობაა ერთ-ერთ მათგანს, ან ამერიკას, ან იაპონიას რომელიმე სახელმწიფო დაეცემა უმიზეზოდ, ახალი ხელშეკრულობა უნდა შეეფარდეს ინგლის-იაპონიის საკავშირო ხელშეკრულობას. იაპონია ამ სთანავე მოითხოვს, რომ ხელშეკრულობის დადების დროს ორივე სახელმწიფომ ზნეობრივი შთავალდობა იკისრონ ერთმანეთის წინაშე, რომ მშვიდობიანობას დაიცავენ შორეულ აღმოსავლეთში.

ამ ცნობის თაობაზე ლონდონიდან ატყობინებენ გერმანულ გაზეთებს: აქ დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ მოლაპარაკებას, თუმცა ინგლისის ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ ეს ცნობა ზოგიერთში არ შეეფერება სინამდვილესაო.

## სპარსეთი

**პროტესტი რუსეთის წინააღმდეგ.**

ვენურ გაზ. „ნ. ფ. პრესე“-ს ატყობინებენ თეირანიდან: სპარსეთში ავრცელებენ პროკლამაციებს, რომლებითაც მოიწვევენ ხალხს ეროვნული გლოვის გამართვის დროს, რადგან სპარსეთში დღემდე სხვაგვარი ჯარი დგასო. პროკლამაციებში ურჩევენ ხალხს ახალი წელიწადი არ იუქმოს და გამოგზავნილი ფული მთავრობას გადასცესო.

**რეშტი.**

ბაქ.“-ს ატყობინებენ რეშტიდან: აქ პროვოკატორები ცრუ ხმებს ავრცელებენ, ვითომ ხოროსანი რუსის ჯარმა დაიჭირა, ვითომ ენზელში ექვსი გემი მოვიდა რუსის ჯარითა, თუმცა იქ უკვე დიდიხანია დგას მარტო ერთი სამხედრო გემი „კრასნოვოდსკ“ ო.

ბოლონდელ კრების შემდეგ სპარსელები კადნიერად ექცევიან რუსებს. ასე, ამდღეებში ბუხარის საბაჟოსთან შეიკრიბა ხალხი პოლიციელებისა და ახალგაზრდა სპარსელების მეთაურობით და ხარგანდრებს ბაჟი არ მიაცემინა. საბაჟოს უფროსმა აღარა გამოართვარა ხარგანდრეს, შეტაკებისა შეეშინდა. რუსის მთავარმა კონსულმა ეს ამბავი გუბერნატორს მოახსენა.

## ოსმალეთი

**კრება სომხების სასარგებლოდ.**

„რეჩ“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: „აქ დიდი კრება გაიმართა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ პროტესტისა და სომხებისადმი თანაგრძნობის გამოსაცხადებლად. სამმა ორატორმა: ოსმალომა, მაკედონელმა და სომეხმა ილაპარაკეს რუსეთის მთავრობა ცუდად ექცევა კავკასიელ სომხებსაო. კრებამ დაადგინა: ევროპის საზოგადოებას შევჩივლოთ ამ საქმეზეო.

**შიმშილი სომხებში.**

„რუს. სლოვო“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან:

სომეხ-გრიგორიანთა პატრიარქმა ცნობა მიიღო ეპისკოპოსებისგან, რომ სომხები სხვა და სხვა ადგილას დამშეულები არიანო. ზეითუნში აუწერელი გაჭირვებაა; მთელი ოჯახები სწყდება შიმშილისგან. პატრიარქმა დურიანმა მიჰმართა მთავრობასა და პარლამენტს“.

## უცხოეთი

**18 მარტის წლის თავი ბერლინში.**

ბერლინში ჩვეულებრივ იდღესასწაულეს რევოლიუციის — 1848 წლის 18 მარტის — წლის თავი. დღესასწაულმა, მოლოდინის წინააღმდეგ, საკმაოდ მშვიდობიანად ჩაიარა. ისტორიულ სასაფლაოზე, რევოლიუციის მსხვერპლთა საფლავებზე, მრავალი ათასი ხალხი მოვიდა. პოლიციამ თავდაჭერილობა გამოიჩინა, თითქო იმნაირ პატივისცა გმირთა საფლავებს. ხალხმა აურაცხელ გვირგვინებით შეამკო საფლავები და თავისი გულწრფელი პატივისცემა გამოხატა ლენტებზე ზედწარწერილებში. 400 გვირგვინიდან პოლიციამ მხოლოდ 50 დაიჭირა. სასაფლაოზე უმთავრესად წითელი ფერის ლენტები იყო მოტანილი, მაგრამ აქა-იქ ჩანდა შავ წითელ-ოქროს ფერის ლენტებიც, მოტანილი დემოკრატთა და პროგრესისტთა საზოგადოებათაგან.

## რუსეთი

✦ **ქალები მიწის-მზომლებად.** „კასპ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: მთავრობას განზრახული აქვს იმ ქალებს, რომლებსაც ტეხნიკური განათლება აქვთ მიღებული, მიწის-მზომლებს უფლება მისცესო.

✦ **სამართალში მიცემა.** სამართალში მიუციათ ვილნოს მაზრის პოლიციის უფროსი და ორი აგენტი. ბრალდებათ ქრთამების აღება და ტუსაღთა ცემა და წვალება.

✦ **ხარკოვის უნივერსიტეტში.** ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს განზრახული ჰქონიათ 13 მარტს კრება გაემართათ. ყველაფერი ეს გაუგია ადმინისტრაციას და 13 მარტს უნივერსიტეტი დაუკეტნია და ახლო-მახლო ქუჩები პოლიციელებით აუვსია. შეკრებილი 2,000 სტუდენტი მშვიდობიანად დაშლილა:

✦ **გენერალი დუმბაძე.** ამ ჟამად იალტის ბატონ-პატრონი გენერალი დუმბაძე ოდესაშია. დუმბაძე ოდესის ბატონ-პატრონთა, ტოლმაჩევთან სცხოვრობს. დუმბაძე ეცნობა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ორგანიზაციებს. სხვათა შორის დუმბაძეს დაუთვალიერებია კავშირის გიმნაზია. დუმბაძე „კმაყოფილი დარჩენილა“ გიმნაზიით. მოწაფეები დუმბაძეს „ურას“ ძახილით მიჰყვებებიან და გაუცილებიათ. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ადგილობრივ ორგანიზაციის თავჯდომარეს, როდზევიჩს სიტყვით მიუმართავს დუმბაძესთვის და მოწაფეებისთვის ურჩევია დაიხსომონ ეს მეტად ღირსშესანიშნავი დი სასიხარულო დღე.

✦ **დუელი.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით სტუდენტ ბოლოტინს დუელში გამოუწვევია სახელმწიფო სათათბიროს წევრი პურიშკევიჩი.

✦ **პურიშკევიჩის დაპატიმრება.** როგორც ვიცით მომრიგებელმა მოსამართლემ პურიშკევიჩ ქ-ნ ფილოსოფოვის შეურაცყოფისათვის 7 დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა. „რეჩი“-ს სიტყვით მომრიგებელ მოსამართლეს უკვე ბრძანება გაუცია გადაწყვეტილებ ის სისრულეში მოყვანის შესახებ.

✦ **გასამართლება.** „გოლ. მოსკ.“ იუწყება: 6 მარტს მოსკოვის სამხედრო სასამართლომ გაარჩია უნტერ-აფიცრების გეიკოს და ზუბჩუკის, ნიკიტინის, სალიშჩევის, კადიმოვის და კოზაკის საქმე. ბრალდებოდათ გრენადერთა პოლკიდან იარაღის მოპარვა. მოპარულ იარაღს ზემოდ-დასახელებულნი პირნი კავკასიაში ჰგზავნიდნენ, სადაც რევოლიუციონერებსა და კერძო პირებზე ჰყიდდნენ, სალიშჩევი და ნიკიტინი იარაღის მაღაზიაში და სახელოსნოში მსახურებდნენ და იარაღს აქედანაც იპარავდნენ. სასამართლომ უნტერ-აფიცრებს, გეიკოს და ზუბჩუკს კატორგა გადაუწყვიტა, პირველს ოთხი, მეორეს ექვსის წლით. დანარჩენებს სხვა და სხვა ვადით ციხე.

✦ **ვარშავის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში.** „რეჩ“-ს ვარშავიდან დეპეშით ატყობინებენ: რვა დღეა, რაც ადგილობრივ საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში გაფიცვაა. და პატიმრეს ბევრი სტუდენტი. როგორც სჩანს, გაფიცვა დიდ-ხანს გასტანს.

✦ **პროტესტი.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ინგლისურ გაზეთებში დაბეჭდილია მეცნიერთა პროტესტი რუსეთის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ, რუსეთის მთავრობა უკანონოდ ექცევა ფინლიანდიასაო.

✦ **მოსალოდნელი სისხლის ღვრა.** „ბაკუს“ თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ: გარეშე საქმეთა მინისტრს ბუხარიდან ცნობები მოსდის, სარტები და სპარსები ერთი-ერთმანეთს შეურაცყოფას აყენებენ და ყოველ წამს მოსალოდნელია სისხლის ღვრაო.

✦ **პეტერბურგის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში.** 10 მარტს პეტერბურგის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის სტუდენტებს კრება გაუმართავთ. კრებას მსჯელობა ჰქონია პურიშკევიჩის შესახებ, რომელმაც სტუდენტობას შეურაცყოფა მიაყენა. კრების დროს გრადონაჩალნიკის განკარგულებით ინსტიტუტი პოლიციელებით გავსილა. პოლიციელებს ჩაუწერიათ კრებაზედ მყოფ სტუდენტთა გვარები. ორასამდე სტუდენტი გარედ ყოფილა და როდესაც გაუგიათ, რომ პოლიცია მათი ამხანაგების გვარებს იწერავდა, ისინიც იმ ოთახში შესულან, სადაც კრება იყო გამართული. სტუდენტებს დაუდგენიათ, არ დაიშალნენ, სანამ პოლიცია ინსტიტუტის სადგომს არ მიატოვებს და სტუდენტთა სიას არ დახევს. გრადონაჩალნიკს მოლაპარაკება გაუმართავს სტუდენტებთან. ბოლოს-და-ბოლოს მათი პირობები მიუღია და სტუდენტები დაშლილან. („კ.“)

✦ **გაჩხრეკა.** პოლტავაში პოლიციას გაუჩხრეკია ჟურნალ „რუსკ. ბოგატ.“ რედაქტორი, ცნობილი მწერალი კოროლენკო. კოროლენკოს სახლში გასაჩხრეკად მისულა პოლიციის ოთხი აფიცერი და 30 დარაჯი.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მდგომარე წლის 4 თებერვალს ქალაქის თეატრში ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენის შემოსავალ-გასავლის ანგარიშს.

შემოსავალი: შესასვლელ ბილეთების გაყიდვით—535 მან. 60 კაპ. ყვავილების, კამფეტებისა და პროგრამების გაყიდვით — 76 მან. 10 კაპ., ფულად შემოსწირეს: ქ-ნა ს. ნ. მიქელაძისამ—5 მ., ა. ა. მაკაროვმა—5 მ., ვ. მ. შნეიდერმა—5 მ., ს. ფ. კოკოჩაშვილისამ—3 მ., თ-დ. ი. ზ. მელიქიშვილმა—3 მ., ე. ა. განომ—3 მ., მ. ი. რუბანის ასულმა 2 მ სულ 637 მან. 70 კ.

ხარჯი: თეატრის ქირად—37 მ. 50 კ., მუსიკის ქირად—10 მ., მარკების სახყიდლად—30 მ., პიესის ავტორის ჰონორარად—8 მ., პარიკმახერს მიეცა—5 მ., რეკვიზიტორს—4 მ., აფიშებისა და პროგრამების დაბეჭდვა და სხ.—6 მ. 25 კ., [illegible]—6 მ., თეატრის მოსამსახურეებს მიეცათ—4 მ., ტანისამოსების ქირად—5 მ., კამფეტების საყიდლად—9 მ. 75 კ., სუფლიორს მიეცა—3 მ., [illegible] გამკვრელს—3 მ., წერილების დამტარებელთა და ავეჯ-ლობის მომტანთ—6 მან. სულ 137 მ. 50 კ.

წმინდა მოგება დარჩა 500 მ. 20 კაპ.

წარმოდგენის მოთავენი მოვალედ სთვლიან თავს, უღრმესი მადლობა გამოუცხადონ იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც ფულის შემოწირვით, წარმოდგენაში პირად მონაწილეობის მიღებით, ყვავილებისა და კამფეტების გაყიდვით, თუ წარმოდგენაზე დასწრებით დახმარება აღმოუჩინეს მათ.

წარმოდგენის მოთავენი: **ა. ბ. ლორთქიფანიძისა გ. ს. ბარათაშვილი. მ. ნ. ქუთათელაძე. ს. ი. ხეჩინოვი.**


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილ-ავადმყოფებს. დილით 9—11 ხ., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—62)

**დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია**

7 მ. 25 კ. ორ კოსტიუმს ვგზავნით ფასდადებით. ჩაწყობა და გაგზავნა ჩემი ხარჯით 4¼ არშ. მამაკაცის სრულ კოსტიუმისთვის, **ინგლისის შალის ტრიკო** ორ არშინიან განისა, აზალი, მკვიდრი, სადა ან ნახატებიანი და 8 არშ. „ნოვეტე“ ქალის კოსტიუმისთვის მოდის-უჯრედებიანი ან ზაზებიანი.

ვინც ორ წყვილს შემოგვიკვეთავს, იმას უფასოდ ვაძლევთ სარჩულს როგორც კაცის, ისე ქალის კოსტიუმისთვის. სამიშო არაფერია; თუ არ მოგეწონებათ, ფულს სრულად უკანვე მიიღებთ. ფასდადებით გაგზავნისთვის მანეთზე 2 კაპ. ზოლო ციმბირში განსხვავება ზღმაში: 2 კოსტიუმში 85 კაპ., 4-ში მან. 25 კაპ, ადრესი: Фирма М. А. Бабушкина. Лодзь. 1-ое отд. д. მიწერ-მოწერა რუსულად. (Мегцль и К. N 11208). (3—6.—3)

**ნამყენი ვაზი**

რქა-წითელი, საფერავი, მწვანე და, ამას გარდა, სადესერტო სორტები იყიდება. ფასი: ასი ცალი 5 მან., 10 ცალი სადესერტო—1 მან. შეკითხვა სად. ქსანკაზე, **მიტროფანე ვანჩენკო.** (2—1044—2)

**იყიდება** იაფად მიწის ნაჭერი, 292 ოთხკ. საჟ. (ფასადი 16 საჟენი) მუშტაიდის ქუჩაზე, საბალოსნო სკოლის პირდაპირ. ნაჭერი შეიძლება ორად გაიყოს. აქვე ჩერდება ტრამვაი. იკითხეთ: გრიბოედოვის ქ., 30, მარჯვნივ შუაზარა. (5—1043—4)

**ქუთაისში**

◀ **კიწმარაშვილის და ამხ.** ▶

**თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნებათ. (25—კვ.—7)

**ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში**

იღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას, ძალიან იაფად, აგრეთვე საცვლებს და სხვა და სხვა ხელ-საქმეს „გლადით“ და „მეტკებს“.

ადრესი: ვერა, გაბაანთ ქ., № 3. (10—8)

**ქალების საყურადღებოდ!**

გაზაფხულისა და ზაფხულის სეზონისათვის

**ბ-ნ ლევინსონის ქალის შლიაპების მაღაზიაში**

**განთვის ქუჩა № 6.**

დამზადებულია დიდ-ძალი შლიაპა მოდისა, მშვენიერი, პარიზისა და ვენის უკანასკნელ ჟურნალებსა და მოდელებზე. არის მორთული შლიაპები, არის სადა და ბავშვებისა. დიდი ყურადღება მიქცეული ინგლისის გემოვნებაზე დამზადებულ შლიაპებზე. შლიაპების გაკეთებას 25 მარტის შემდეგ აღარ ვკისრულობთ. ქალაქ გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიკვეთონ შლიაპები ფასდადებით. (2—ტ.—1)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.